საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კოთხუჯი

კოთხუჯი

კოთხუჯი, კოთხოჯი (Acorus), მრავალწლოვან ბალახოვან მცენარეთა გვარი ნიუკასებრთა ოჯახისა. ცნობილია 2 სახეობა. A. calamus გავრცელებულია აზიაში, ევროპასა და ჩრდ. ამერიკაში. იზრდება რუსეთის ევროპულ ნაწილში, ციმბირში, შორეულ აღმოსავლეთსა და ყაზახეთში. კარგად ხარობს მდინარისა და ტბის სანაპიროებზე, ზოგჯერ შალდამებს ქმნის. გვხვდება დას. საქართველოს (სამეგრელო, გურია, აჭარა) ლაქაშიანებსა და ლელიანებში. შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებებს. კ-ის ფესურიდან ხდიან ეთეროვან ზეთს, რ-საც პარფიუმერიასა და საკონდიტრო წარმოებაში იყენებენ. ფესურიდან მიღებული პრეპარატები გამოიყენება მადის აღმძვრელ, ნაღვლმდენ და საჭმლის მომნელებელ საშუალებად.